

K 36-052
2

ମୁଦ୍ରଣ କାର୍ଯ୍ୟାଳୟ
ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ

ମହିମାମନ୍ଦିର

ପାତ୍ନୀ

ମହିମାମନ୍ଦିର





Dr. Rosalyns

Հ Շ





ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ



«ବୀକାଳିକ ମହିନା»
• ଜାନୁଆରୀ 1968

K 36.052
2

8099.962.5



c (Abx) 2
894. 611. 3-32
დ 231

ძაძ (ვლადიმერ) ხარიტონის ძე დარსალია დაიბადა 1898 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუჯში. 1923 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1928 წელს — ყუბანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად, შემდეგ ლიტერატურის განვითარებით „აფსნი ყაფში“.

ძ. დარსალიას კალამს ეკუთვნის პიესა „შავბნელ წარსულში“, რომელიც დღესაც წარმატებით იღებება სოხუმის დრამატულ თეატრში. 1954 წელს გამოვიდა მისი მოთხრობების წიგნი აფხაზურ ენაზე.
ძ. დარსალიამ აფხაზურად თარგმნა პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“.

თარგმნა მ ზ ი ა



7-3-3

მ ა ღ ა ღ ი

ღ არიბი კაცია ლაჯი. გა-
მრკე, მშრომელი, მაგ-
რამ მაინც ღარიბი. ამ

შემოდგომაზე სამი-ოთხი გოდორი სიმინდი ძლიერს მოი-
წია. ეს ნახევარი წლის სარჩოდაც არ ეყოფა მის დამშეულ
ოჯახს. ახლა ამ მცირე მარაგსაც მოაკლო და გასაყიდად
მიაქვს, რომ საპონი და ნაეთი იყიდოს.

ეჭ! არც ბედი წყალობს და არც მიწა იბრალებს. თავს
არ ზოგავს, დღედაღამ შრომობს, ოფლით აქვს მორწყული
მიწის ყოველი მტკაველი. ცოლ-შვილი კი ვერ იქნა და ვერ
გამოკვება. აქამდე ხარი მაინც ჰყავდა. აწი რითი უნდა
მოხნას ეს ხრიოკი.

ღმერთო, შენ დაუქციე ოჯახი, ვინც მას ერთადერთი
მარჩენალი წაართვა!



ლაჯი ობლობაში გაიზარდა. საკუთარი არც ჭერი
ჰქონდა, არც კერია. ხან მოჯამაგირედ იდგა, ხან მწყემ-
სად, ხანაც მჭედელ პატუხუს ეხმარებოდა. გასამრჯელოდ



რა ერგო? — ნახმარი ქეჩის ქუდი და ძონძები. არც შევიტორება
ლელი ჰყავდა ვინმე და არც ქომაგი. ყველა იბრძუნებული
უპატრონოს.

ასე გადიოდა წლები. ლაჯი წამოიზარდა, დავაკაცდა,
მაგრამ საშველი მაინც არ დაადგა.

მისი ტოლები დროს მხიარულად ატარებდნენ, ქეიფო-
ბდნენ, ცხენებს დააჭენებდნენ, ზოგს სატრფოც ჰყავდა
შეთვალთვალებული. ლაჯი კი მშიერ-მწყურვალი და გა-
მურული ოფლში იწურებოდა. რას არ ავალებდა მას მშე-
დელი პატუხუ: წყალი მომიტანეო, ქვაბები დახეხეო, სა-
ქონელს მიხედეო. ლაჯიც ჯარასავით ტრიალებდა, მად-
ლიერი მაინც არავინ იყო. ღამით დაღლილ-დაქანცული
მიეგდებოდა ტახტზე და უზომოდ ნაკაფარს ძილიც არ
ჰქონდა მშვიდი.

ერთხელ ლაჯის წისქვილიდან დაფქული მოპქონდა.
მზე ისე აცხუნებდა, სულის მოთქმა ჭირდა. ლაჯიმ გუდა
მოიხსნა და ჩრდილში ჩამოჯდა. მწარე ფიქრებში გარ-
თულს არც კი შეუმჩნევია, ისე წამოადგა თავს მხედარი.
როცა გამოერქვა, მის წინ მდიდარი მემამულე მაჯ-იფა-
ლაფალუ იდგა.

— ჩამძინებია, — თითქოს თავი იმართლაო ლაჯიმ.
ლაფალუს ცხენი ჩამოართვა და ხეზე მიაბა.

— ამ სიცხეში რამ დაგაძინა, — უთხრა ლაფალუმ. თა-
ვისთვის კი გაიფიქრა: მგონი, გამოსადეგი კაცი ვიპოვეო.
ყურადღებით აათვალ-ჩათვალიერა ლაჯი. შემდეგ ყაბა-
ლახი მოიხსნა და ლაჯის ვინაობა ჰქითხა. ლაჯიმაც უამბო
თავისი უკუღმართი ცხოვრების ამბავი.



— ჩემთან ხომ არ წამოხვალ? კარგი მწყემსი მცირდებოდა
ბაზული მოვალეობა

ლაჯი ამ შეკითხვას არ ელოდა და დაიბნა, პასუხის გა-
ცემა ვერ მოახერხა. ამასობაში ლაფალუ ცხენს მოახტა,
კარგად მოიფიქრეო, — ლაჯის გადმოსძახა, და გაქუსლა.
ლაჯიც თავის გზას გაუდგა.



მჭედლის ოჯახში მხოლოდ პატუხუს ქალიშვილს —
გუაგუას — ებრალებოდა ლაჯი. საჭმელსაც მეტს აძლევ-
და, ტანსაცმელსაც უკერებდა. თან ისე გაუღიმებდა, ლა-
ჯის ათი წლის სიცოცხლე ემატებოდა. ლაჯიც ცდილობდა,
სიკეთით გადაეხადა გუაგუასათვის. ხან ღომს ამოუზელავ-
და, ხან შეშას შემოუტანდა. ყველა დასცინოდა მათ მეგობ-
რობას. ლაჯი კი იმედს არ კარგავდა.

იმ საღამოს ლაჯი ძროხას წეველიდა, თან გუაგუას
უამბობდა ლაფალუსთან შეხვედრის ამბავს.

— წასცლას აპირებ? — ეწყინა ქალიშვილს.

— აბა რა ვქნა, როდემდე ვიყო ასე ღარიბ-ღატაკი?
ექნებ ლაფალუსთან ვიშოვო რამე. ფულს დავაგროვებ და
ერთ ფაცხას მეც დავიდგამ.

გუაგუას ეს აზრი ჭკუაში დაუკდა და მეტი აღარაფე-
რი უთქვამს.

მეორე დილით პატუხუმ ყვირილით გააღვიძა ლაჯი:

— შე ძილისგუდა, უქნარა, მუშაობას აღარ აპირებ?
ახლავე ადექი!



— ახლა კი ავდგები, მაგრამ იცოდე, დღეს უკანასკნელი ლი დღეა, — უთხრა თვალების ფშვნეტით ლაჯიმ.

ლაჯი ადგა და ძროხების მოსაწველად გასწია. სამ-ჭედლოდან უროს ცემის ხმა ისმოდა, მაგრამ ლაჯის ყუ-რიც არ გაუპარტყუნებია. მას მტკიცედ პქონდა გადაწყვე-ტილი, გასცლოდა უსულგულო პატუხული.

„არა, მჭედლობა ცუდი ხელობა როდია, — ფიქრობდა ლაჯი. — რა ჯობია, როცა შენი ნახელავი წალდი, ნაჯახი, თოხი შენც გამოგადგება და სხვასაც. მაგრამ პატუხული რომ არაფერს მასწავლის? შენ ამას ვერ შეძლებო. ვითომ რა-ტომ? ვისზე ნაკლები ვარ? შეპირებით კი შემპირდა: ხე-ლობას გასწავლი და შენც სამაგიეროდ ოჯახის საქმეში მომეხმარეო. მე ვასრულებ ჩემს პირობას, მაგრამ პატუ-ხუ? არა, უნდა გავეცალო.“

ლაჯიმ ძროხები მოწველა, რე სამზადში შეიტანა და სამჭედლოში შევიდა. მაგრამ საქმეს არ შედგომია.

— დღეს რა ღმერთი გაგიწყრა! — შეუყვირა პატუ-ხუმ.

ლაჯი არ განძრეულა.

— ხელი მოპყიდე უროს! — კიდევ იყვირა პატუხუმ.

— არ მინდა და არ მოვეიდებ! — თითქოს დიდი ტვირ-თი მოიხსნაო, გადაჭრით თქვა ლაჯიმ.

პატუხუმ გაკვირვებით შეხედა. სიბრაზისაგან ლამის თვალები გადმოუცვიდა.

— აქედან მივდივარ! — თქვა ლაჯიმ.

— რამ გადაგრია, ბიჭო, ეშმაკმა ხომ არ გაგოვალა. უროს ხელი მოკიდე-მეთქი, გელაპარაკები.

— ძალით ვერ მამუშავებ. მივდივარ!

— სად უნდა წახვიდე, შე გლახაკ? ვის უნდიხარ.

შენისთანა უქნარას ვინ შეინახავს. მალე ინანებ და მომა-
კითხავ, მაგრამ გვიან იქნება.

— მაგასაც ვნახავთ, — უთხრა ლაჯიმ.

— წაეთრიც, თვალით აღარ დამენახო! — ყვიროდა პა-
ტუხუ.

ლაჯიმ დაგლეჯილი ქეჩის ქუდი თავზე ჩამოიფხატა
და ჭიშკრისაკენ გაემართა.

მხოლოდ ახლა მიხვდა პატუხუ, რომ საქმე ცუდად იყო,
ხელიდან ეცლებოდა მუქთა მუშა. შეშტოთებული სამჭედ-
ლოდან გამოვარდა და ლაჯის მიაძახა:

— ასე დახეულ-ჩამოგლეჯილი სად მიდიხარ, ვის უ-
და მიადგე? ცოტა ხანს დარჩი, დაგხურავ, ჩაგაცმევ და მე-
რე საღაც გინდა წადი.

ლაჯის უკან არც მიუხედავს. ჭიშკარი გაიჯახუნა და
გზას გაუდგა.

— ეს რა მომივიდა. ასეთი კაცი ხელიდან როგორ გა-
ვუშვი, — ბრაზობდა თავის თავზე პატუხუ.

ლაჯიმ გზაზე გუაგუას მოპერა თვალი. გაუხარდა. გა-
მოვემშვიდობებიო, — გაიფიქრა და გუაგუასთან მივიდა.

— ნახვამდის, გუაგუა, — ჩურჩულით უთხრა ლაჯიმ.

— არ იშლი, მიდიხარ? ღმერთმა ხელი მოგიმარ-
თოს, — უთხრა გუაგუამ და ვაჟს სახე მოარიდა. ისინი
მორცხვად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ლაჯი ახალი მებატონის — მაჯ-იფა-ლაფალუს სახლი-
საკენ გაემართა.



ხუთი წელი მწყემსაცდა ლაჯი ლაფაღუს ცივარს უნდობდა თი წელი იხეტიალა ტყესა და ღრეში. ვინ მოოვლის, რამ-დენმა ბატყანმა გაიარა მის ხელში, რამდენი თავი ჰყველი ამოიყვანა. თვითონაც დავაუკაცდა, დამშვენდა, მთის ჰა-ერმა ლოცები დაუბრაწა.

მაჯიფა-ლაფაღუს უამრავი ცხვარი ჰყავდა. სწორედ ასეთებზე ამბობენ: ათასი რომ გაზარდო, ასი ტყეში გაუშვიო.¹ თუმცა მდიდარი იყო, ლაჯისთვის ბებერი თხებისა და კოჭლი ცხვრების მეტი ვერაფერი გაიმეტა.

ლაჯი ხშირად დადიოდა პატუხუს სახლში, ყოველ მის-ვლაზე მჟედელი ურჩევდა ხოლმე:

— მორეკე შენი ფარა და ტკბილად ვიცხოვროთო.

პატუხუს შრომისმოყვარე ლაჯისთან ერთად მისი სა-ქონლის ხელში ჩაგდებაც ჰქონდა გუნებაში.

ლაჯი ხვდებოდა მის განზრახვას, მაგრამ არაფერს ამ-ბობდა.

იმ საღამოსაც ბევრი უჩიჩინა პატუხუმ ლაჯის. ჭიშკრამდეც კი მიაცილა და დაპირებებით აავსო, მაგრამ ლა-ჯიმ არაფერი უპასუხა.

მეორე დილით პატუხუს ყვირილმა არემარე შეძრა. დაფეხებული მეზობლები მჟედელთან მიცვიდნენ.

— რას იზამ, — ამშეიდებდნენ პატუხუს, — არ გაქცე-ულიყო შენი ქალიშვილი, კარგი იყო, მაგრამ მაგისთვის თავს ხომ ვერ მოიკლავ.

¹ ლეგენდის თანახმად, ათასი ცხვრის პატრონი ას ცხვარს ტყეში უშევებდა მთისა და ნადირობის ღმერთისათვის შესაწირად.



— მერე ვის, ვის გაეკიდა, ღარიბს, ღატაკს, ჩემს ნორი გვიცის მოჯამაგირალს. ეს ვაპატიო? — არ ცხრებოდა პატუხუ.

უფროს ქალიშვილზე გაჯავრებულმა მამამ ჯოხი უმც-როსს მოუქნია. ღონემიხდილი ჯირკზე ჩამოჯდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და ყვირილით სამჭედლოში შევარდა. ურო ძირს დაახეთქა და ღმერთს შეჰქმდადა:

— სამჭედლოს მფარველო ღმერთო! შენ შეაჩვენე ჩე-მი უღირსი ქალიშვილი. დასაჯე ამ საქციელისათვის. სა-მაგიეროდ მსხვერპლად საუკეთესო თხას შემოგწირავ.

...გაიარა ექვსმა წელმა. ღმერთს არ დაუსჯია გუაგუა. მისი გოგონა და ბიჭი ეზოში დარბოდნენ, ტიკტიკებდნენ. მჭედლის ქალიშვილი ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ ქმარს არასოდეს საყვედურობდა, იცოდა, ეს სილატაკე ლაჯის ბრალი არ იყო.

ლაჯი დაღლილი დაბრუნდა ყანიდან. არც დაუსვენია, ზურგზე მოიგდო სიმინდით საცხე გუდა და დურნისაკენ გასწია ნავთზე და საპონზე გადასაცვლელად. ტვირთის ქვეშ მოხრილი ისეთი საცოდავი იყო, რომ გულძვა კაცსაც კი შეებრალებოდა. გაოფლილი პერანგი ტანზე ეკვროდა. დაკონკილი შარვალი მუხლებს ძლიერს უფარავდა. შიშველი ფეხები ქვებზე სიარულისაგან დახეთქოდა. ლაჯის სახეზე ტკიფილი და სასოწარკვეთილება იხატებოდა.

ტვირთი აივანზე აიტანა, იატაკზე დააგდო და სახელო-



თი თული მოიწმინდა. გამარჯობის თქმა ვერც კი მოჰქმდებოდა რო, რომ იქვე მდგარი მამასახლისი დაინახა. თითქმის ცი-
ფი წყალი გადაასხესო, ელდა ეცა:

„ჭირმა წაგიღოს, აქ რამ მოგიყვანა“, — გაიფიქრა
გულში.

— გასაყიდი სიმინდი ხომ გაქვს, გადასახადს კი არ
იხდი, არა?! — მოესმა ფერწასულ ლაჯის მამასახლისის
ყვირილი. შემდეგ მამასახლისი მედუქნეს მიუბრუნდა და
უბრძანა:

— სიმინდი აწონე და ფული მე მომეცი!

მედუქნე მექსუდი იძულებული გახდა მამასახლისის
ბრძანებას დამორჩილებოდა. ფულის გადახდას ერჩია, ლა-
ჯისათვის სიმინდის საფასურში სურსათი მიეცა, მაგრამ
რა ექნა, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. ის-ის იყო,
მექსუდმა გუდას ხელი წაატანა, რომ ლაჯიმ ვეღარ მოით-
მინა და იყვირა:

— არ გაბედო, ხელი გაუშეი!

— წინააღმდეგობას ბედავ? — იყვირა მამასახლისმა
და თანაშემწეს მიუბრუნდა: — მიხა, გააგდე ეს ურჩი აქე-
დან!

ლაჯიმ ჯოხი ჩაბლუჯა, უნდოდა მამასახლისისათვის
თვალში ჩაერტყა, მაგრამ თვალწინ წარმოუდგა უპატრო-
ნოდ დარჩენილი ცოლ-შვილი და ჯოხი იქვე დააგდო.

— აპა, წაიღე, შხამად შეგერგოს! — ყვიროდა იღაჯ-
გაწყვეტილი ლაჯი.

მამასახლისმა ვერ მოითმინა შეურაცხყოფა, ლაჯისკენ
წაიწია და მათრახი მოუქნია. ხალხმა ძლივძლივობით შე-



აკავა. იქვე მდგომარეობა ახალგაზრდამ სამოცდაათი კაპშტუმისათვის
ამონილო, მიხას გაუწიოდა და უთხრა:

— აიღე, ლაჯის მაგიერ ვიხდი.

ამ შემთხვევის შემდეგ გავიდა ორი წელიწადი. ერთხელ ლაჯი სოფლის კანცელარიაში გამოიძახეს და უთხრეს: თორმეტი მანეთი გაქვს გადასახდელი, თუ ერთ კვირაში არ გადაიხდი, ძალით წაგართმევთო.

ლაჯის მუხლები მოეკევთა. რა უნდა ქნას? ისედაც უჭის ძლივს ივებენ, ლამის შიმშილით დაიხოცონ, ახლა კიდევ ეს გადასახადი!

კანცელარიის ეზოში გლეხებს მოეყარათ თავი. მათ სახეზეც სასოწარკვეთილება და უკმაყოფილება იხატებოდა.

— უკანასკნელ ლუკმას გვართმევენ, — მიმართა ლაჯიმ გლეხებს. — სულს გვხდიან. სამართალი აღარ არის? მე და მაფის ერთნაირად რატომ უნდა გვახდევინებდნენ! მაფის ხომ ჩემზე მეტი საქონელი ჰყავს. აღარც ღმერთი სწამთ და აღარც კანონი!

— აბა, რა გითხრა, ჩემო ლაჯი, — თქვა მოხუცმა მაციმ. — სხვა შენზე უარეს დღეშია. მართალს ამბობ — ჩენთვის არ არის სამართალი.

— იცით, რა, — ჩაერია საუბარში მესამე გლეხი. — წავიდეთ მამასახლისთან. გაარჩიოს საქმე, მდიდარს და ლარიბს ერთნაირად რატომ ახდევინებენ.

— კარგი აზრია, — დაეთანხმა მაცი. — წავიდეთ.



მივიღნენ მამასახლისთან და სთხოვეს, მოესმინა მიუწოდები განვითარება

თვის.

— ვეიშველე, ბატონო, — მიმართა მას მაციმ ჟველას მაგივრად. — ნუ დაგვიღუპავ ოჯახს. თქვენ რომ ამდენი გადაგიხადოთ, ჩეენ რითდა ვიცხოვოროთ?! თუ მთავრობა მართლა ზრუნავს გაჭირვებულებზე, რატომ გვახდევინებთ ერთნაირად მდიდრებსა და ღარიბებს?

— აა, აჯანყებას აპირებთ? — განრისხდა მამასახლისი. — მე თქვენ გიჩვენებთ! გირჩევთ ახლავე დაიშალოთ და ფული დროზე გადაიხადოთ. თუ კანონს არ დაემორჩილებით, თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ!

დიდხანს იმსჯელეს გლეხებმა, მაგრამ გამოსავალი ვერ იპოვეს. უკმაყოფილოები სახლებში გაბრუნდნენ.

გავიდა დათქმული ერთი კვირა. მამასახლისის თანაშემწე და იასაულები სოფელს არბევდნენ. მიპქონდათ ჟველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. მივიღნენ ლაჯისთანაც, მაგრამ წასაღები ვერაფერი იპოვეს. ძროხა და ხბო საძოვარზე იყო გაშვებული, სხვა კი არაფერი გააჩნდა ლაჯის. რადგან ლაჯის მსგავსი ბევრი აღმოჩნდა, საქმეში მამასახლისი ჩაერია. თავის ქვეშვევრდომებთან ერთად დაძრწოდა სოფელში და ჟველას შიშის ზარს სცემდა.

ვისთან არ იყო ლაჯი, ვის არ სთხოვა — ფული მასესხებთო, მაგრამ თვითონ რა პქონდათ, ლაჯისთვის რა უნდა მჩეცათ. ბოლოს ძველ მეპატრონესთან მაჯ-იფა-ლაფალუსთან წავიდა, მაგრამ შინ არ დახვდა. ლაფალუ გვიან დაბრუნდა.

— მიშველე, ბატონო, ფული მასესხე. თუ დროზე ვერ

გადაგიხადე, ძროხას მოგართმევ, — შეეხვეწა ლაჯი ლუკა ბერძენიშვილი
ფაღუს.

ლაფაღუმ დახმარება აღუთქვა.

დაღამდა, კოკისპირულად წვიმდა. ლაჯიმ იმ ლაშეს იქ
დარჩენა გადაწყვიტა. დილით ადრე გაუდგა გზას. შინ მი-
ეჩქარებოდა, მაგრამ მოხუცი მაცის ნახვაც უნდოდა და
შასთან შეუხვია. ისევ დაუშვა წვიმამ. გზის გაგრძელე-
ბა შეუძლებელი გახდა.

ამ დროს ლაჯის სახლში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრია-
ლებდა. მამასახლისმა თვითონ გაჩერიკა მთელი სახლი,
ხელწამოსავლებს ეძებდა. მაგრამ ამაოდ.

— სად არის შენი ქმარი? — ჰკითხა მან გუაგუას.

— ფულის საშონელად წავიდა, ბატონო. ასე თქვა,
სანამ არ ვიშოვი, შინ არ დაებრუნდებიო.

— ტყუ! — იყვირა განრისხებულმა მამასახლისმა.
შემდეგ ლაჯის ბიჭიე მიუთითა და ბრძანა: — წამოიყვანეთ!
გვიჩვენოს საით გარეეს ძროხა.

გუაგუა შვილს მივარდა, მაგრამ ჩაფრებმა დააკავეს.
ბიჭი წინ გაიგდეს და ძროხის მოძებნა უბრძანეს.

მამასახლისი და მისი დამქაშები ცხენებზე ისხდნენ.
წინ კი ფეხშიშველა, გაწუწული ბიჭი მიუძლოდათ.

მიუახლოვდნენ მაცის სახლს. მაცი და ლაჯი ბუხრის
წინ ისხდნენ და მაჭარს და წაბლს შეექცეოდნენ.

ლაჯიმ სიცივისაგან გალურჯებულ და აკანკალებულ
ბიჭს რომ მოჰკრა თვალი, გაოცებისაგან გაქვავდა.

— შენს ძებნაში მთელი სოფელი შემოვიარე, შენ კი
დეცხლს ეფიცხები? — დაუყვირა მამასახლისმა ლაჯის.

მაგრამ ლაჯის აღარაფერი ესმოდა.



— შენ აქ რამ მოგიყვანა? — პკითხა შეიღს. ბიჭმა უწინდევის
რაფერი უთხრა და ატირდა.

— მძევლად წამოვიყვანე. — უპასუხა მამასახლისმა, —
როცა ფულს გადაიხდი, შეიღს დაგიბრუნებ.

ლაჯის თვალთ დაუბნელდა. წამოვარდა და არაადამი-
ანური ხმით დაიყვირა:

— ხედავთ, რას გვიშვრებიან? მე ხომ ვაპირებდი ფუ-
ლის გადახდას, მაგრამ არ დამაცალეს. ახლა მიყურონ! —
შემდეგ ცეცხლმოდებულ შეშას ხელი წამოავლო და მამა-
სახლისს მოუღერა. მაგრამ მაციმ სტაცა ხელი და შეშა
ძირს დააგდებინა.

მამასახლისი გახევდა. ყველაფერს ელოდა, მაგრამ ლა-
ჯი თუ მასზე ხელს აღმართავდა, არ ეგონა.

შემდეგ გამოერკვა, რევოლვერი იძრო და ლაჯისაკენ
წაიწია, მაგრამ ხალხმა დააკავა.

მამასახლისმა ლაჯის შებოჭვა და ოჩამჩირის ციხეში
გაგზავნა ბრძანა. მაგრამ არც ეს დაანებეს.

— ყველაფერს მოვსწირებივართ ამ ქვეყნად, მაგრამ
ადამიანის მძევლად წაყვანა პირველად ვნახეთ. მისწერე
ოჩამჩირეში ყველაფერი და დაე, იქ განსაჯონ, — უთხრეს
მამასახლისს.

მამასახლისმა გაგზავნა ოჩამჩირეში ქაღალდი, მაგრამ,
ეინ იცის, შიგ რა ეწერა.

ორი დღის შემდეგ ურიადნიქმა და ჩაფრებმა სოფელი
ააოხრეს. ხელშეკრული ლაჯი კი ოჩამჩირის გზას გაუჟე-
ნეს.

შემდეგ ამბავი მოვიდა — ლაჯი სოხუმის ციხეში ჩა-
ვესო.



ბევრი ცრემლი ღვარა გუაგუამ. ოჯახის სიმძიმე ახლა
მას დააწეა.

შვილები ხშირად ეკითხებოდნენ — სად არის ბაბა,
როდის მოვაო.

ღმერთმა გაახარა მეზობლები. ისინი რომ არა, შიმში-
ლით დაიხოცებოდნენ.

ყველამ ხელი გაუწოდა გუაგუას, მხოლოდ მამამ არ
აპატია ღარიბი კაცის სიყვარული.

რაც გიამბეთ, ნამდვილი ამბავია. ძველად ხშირად ხდე-
ბოდა ასეთი რამ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კიდევ ვეწვიე მშობლიურ
სოფელს. თვალს ახარებდა ფერდობზე შეფენილი ცხვრის
ფარა. „ნამდვილად კოლმეურნეობისაა“, — გავიფიქრე და
გავემართე მოხუცი მწყემსისაკენ. ეს ხომ ლავია! — შევ-
ახე გახარებულმა, როდესაც მოხუცს მივუახლოვდი. მას
მკერდზე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე
მიღებული ვერცხლის შედალი უბრწყინავდა.



მოხუცის ტვირთი

6 ეტა რა ტვირთი ზიდე
ასეთი, წელში რომ
მოგხარაო, — გიყვირთ.

ეჰ, ჩემო კარგებო! ვინც იცის ცეცხლია ვინც არა და —
ცერცვიო, — იტყვიან. თქვენ რა გენალელებათ, ბედნიერ
დროს ხართ გაჩენილები, საბჭოთა წყობილებამ გამოგ-
ზარდათ და ყურმოკრულად თუ გაგიგონიათ ძველი დროის
სიღვარეები. თქვენ არ გამოგიცდიათ ტვირთის სიმძიმე,
უმანქანოდ ფეხს არ გადადგამთ. აბა წარმოიდგინეთ გლე-
ხი კაცის, ანდა მუშის ბედი ძველად. ჯიბეგასქელებულ პა-
ჩალაზე კი არ გეუბნებით. აი ჩვენზე, უბრალო ადამიანებ-
ზე მოგახსენებთ, პაჩალასნაირები რომ გვაწვნენ კისერზე
სარჩენად, სისხლს გვწოვდნენ და ძალას გვართმევდნენ.
წელებზე ფეხს ვიდგამდით, ვშრომობდით და მერე ვის-
თვის? პაჩალა და მისნაირები რომ მაძლრად ყოფილიყვნენ.
გმინავდა მშრომელი ხალხი ორგვარი ტვირთის ქვეშ.
ერთს კიდევ გაუძლებდა კაცი, დანიშნულ ადგილამდე მა-



იტანდი და ჩამოიხსნიდი. მაგრამ მეორე? ეს მეორეუზე რა და რაც იყო! დროის ტვირთი! მძიმე ცხოვრება ჩაგრავდა ჩამოიხსნიდა და აბეჩავებდა საწყალ ხალხს. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით ამ უღელს. ყველას აწუხებდა მისი სიმძიმე, ჩაგრამ რომ ვერ ვიშორებდით? ჰოდა, ეს არ გამოგიცდიათ თქვენ, ბედნიერებს.

ერთ ჩემს მეგობარზე მინდა გიაშოთ, სელიმზე. უტკირთოდ ის არავის უნახავს. ლარიბასა და გაჭირვებულს მუდამ პქონდა რაიმე ზურგზე მოკიდებული. დადიოდა ასე მოკაკული, მუდამ მიწას ჩასცეროდა, თითქოს ევედრებოდა — ამაგი დამიფასეო.

გაიხედავ და მიდის სელიმი წისქვილისაკენ. ზურგზე სიმინდით სავსე გუდა მოუკიდებია და ძლივს მიაბიჯებს. შუხლები ევეცება, ოფლი ღვარად ჩამოსდის, სუნთქვა უჭირს, მაინც მიაბიჯებს. თავისი მაინც იყოს სიმინდი. მერე როგორ ენატრებათ ცხელი ღომი მის შეიღებს. ვერ იქნა და ვერ მოიშორა სელიმმა პაჩალას ვალი. მის მამულში ათენ-აღამებს, ლამის მუშაობით სული ამოსდვრეს. ცოლ-შვილი კი მაინც ვერ დააპურა.

— საით გაგიწევია, სელიმ? — შეეკითხები.

— ვერ ხედავ, წისქვილში მივდივარ, — გიპასუხებს.

ანდა

— საიდან მოგაქვს ეს მძიმე ტვირთი, სელიმ?

იგი აქეთ-იქით იხედება. ტვირთის ქვეშ მოხრილი ვერც კი ხედავს, ვინ ეკითხება და ჩახლეჩილი ხმით უპასუხებს:

— აგერ ვიჟავი, პაჩალასთან, ერთი-ორი დღე წავეხმარე და სიმინდი მომცა.



მთელი გაზაფხული და ზაფხული შრომობდა. ხნავდება რეპრესია ფარცხავდა, მარგლავდა, მოსავლის ნახევარზე მეტი ჰქონდებოდა ჩალამ წაიღო.

— იმიტომ, რომ მიწა ჩემიაო, — უთხრა პაჩალამ.

ორი მტკაველი მიწა სელიმსაც აქვს, მაგრამ რითი მოხნას? ამდენს შრომობს და უღელი ხარი ვერ უყიდია. ცალი მაინც პყავდეს, სხვის მოჯამაგირედ აღარ იმუშავებდა. შვილები დაგეზრდებიან, მოგეშველებიანო! ეჭ, როდის იქნება! გოგონები ძლივს დაბაჯბაჯებენ ეზოში, ჩვილი ბიჭი კი ჯერ აკვანშია ჩაკრული.

— ურემი მაინც გეთხოვა ვინმესთვის, ცოდვა ხარ, — ვეუპნები ერთხელ ტვირთმოეიდებულ სელიმს.

სელიმმა ტვირთი მიწაზე დადო, ოდნავ შეასვენა ტალახში სიარულისაგან დახეთქილი შიშველი ფეხები.

— ურემს კი მათხოვებს პაჩალა, მაგრამ, რა გამოვიდა, სამაგიეროდ უფასოდ მამუშავებს. ჯობია, მე თვითონ ვზიდო. მოჯამაგირედ ყოფნას მირჩევნია, სული ამომხდეს. — თქვა და წელში გადრეკილმა ისევ მოიგდო ტვირთი ზურ-გზე.

რა ეშველება საცოდავს? არ მასენებენ მწარე ფიქრები. სად არის ხსნა! რამდენია ასეთ შავ დღეში. ან რით მიემარები შენს ბედში მყოფთ, როცა შენც ასე მაჯლაჯუნა-სავით გაწევს დროის მძიმე ტვირთი.

* ასეთი მახსოვეს სელიმი ჩემს სიჭაბუქეში. თუმცა ერთ სოფელში არ გვიცხოვრია, მაინც ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ერთი ტვირთის ქვეშ მოხრილნი და გულს ვი-ოხებდით.



— არა, მაინც როდემდე უნდა ზიდო ეს ტვირთი, მეტავალი
ლიმ!

— ჯერ შენ მოიშორე და მერე მე მეღაპარაკე. — შე-
მომიღრენდა იგი.

— ვან იცის, იქნებ ორივემ ერთად მოვიშოროთ, ა?
ვითომ ასე იქნება ყოველთვის?

— ჩვენც გაგვიღიმებს ბედი, — ამბობს სელიმი. — ხომ
გახსოვს თხის ამბავი. ამწვანებული ტოტი რომ გადმოიხა-
რა და თხა შიმშილით სიკედილს გადაარჩინა.

— არა, ძმაო, მაგ ზღაპარს რომ დავუკეროთ, შიმში-
ლით სული ამოგვერება. ტოტი ძალით თუ არ ჩამოსწიე
წალდის წვერით, თვითონ არ გადმოიხრება. მაგის იმედი
ნუ გექნება, ჩემო სელიმ!

— ეჰ, მართალი ხარ, მაგრამ... — ოხრავდა სელიმი,
გოხრავდი მეც და ეს ჩვენი ოხვრა უერთდებოდა საერთო
გმინებას.

ასე ერთფეროვნად, მძიმე შრომაში გადიოდა დღეები.
მერე? მერე კი ბედმა ოდნავ გამიღიმა და დიდი ხნით სხვა
ადგილას გადამისროლა. ასე რომ, სელიმზე აღარაფერი
გამივია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ერთი სიტყ-
უით, რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენც კარგად იცით, რომ
დროება შეიცვალა. მოხდა ისე, რომ ბედმა ისევ შეგვახ-
ვედრა მე და სელიმი.

— გამარჯობა, სელიმ. როგორ ხარ. როგორ ცხოვ-
რობ? — ვკითხე გახარებულმა.

სელიმმა დაკოერილი ხელებით თვალები მოიჩრდილა
და თქვა:

— აი სასწაული! ნუთუ ეს შენ ხარ! გმადლობ, უშემძლებელი
ჭირიმე, რა მიშავს. თავად როგორა ხარ?

— ვხედავ, კარგად ხარ და მიხარია. აბა მიამბე, ახა-
ლი რა არის? როგორ ცხოვრობდი?

— ამაზე მეტი ახალი რაღა გინდა! მიმოიხედე გარშე-
მო, ყველაფერი შეიცვალა! ხომ გეუბნებოდი, ბედი ჩვენც
გაგვიღიმებს-მეთქი. ახლა არაფერი გვიჭირს. ვენაცვალე
ამ ცხოვრების მომტანს.

— შენი შვილები როგორ არიან?

— ყველამ თავისი გზა მონახა. ქალიშვილები გავა-
თხოვე. ვაჟსაც თავისი ოჯახი აქვს. კოლმეურნეობაში მუ-
შაობს. გახსოვს, ტვირთს როდის მოიშორებო, რომ მეკით-
ხებოდი? შემხედე, როგორ გავიმართე წელში!

— გამოდის, რომ დრო ახლა ჩვენ გვემსახურება, არა?
სელიმს გაეღიმა:

— ჩვენი დროც დადგა. აბა გაიხსენე, ვისი მიწა იყო
ეს? მართალია, წერა-კითხვის უცოდინარი კაცი ვარ, მაგ-
რამ პაჩალასნაირებს რომ კუდი მოეწვათ, იმით მივხედი,
ახალი დროება გაჭირვებულ ხალხს ბედნიერებას მოუტან-
და. ჰოდა, არც შევმცდარვარ. ამას ახლა ყველა ხედავს.

პირდაპირ ვეღარ ვცნობდი სიტყვაძუნწ სელიმს, წინათ
ორ სიტყვას ვერ გადააბამდა, ახლა კი ლაპარაკად ქცეუ-
ლიყო.

— რაც მთავარია, მიწა ჩვენია. ხედავ, რა მონდომებით
ურომობს ხალხა? — სელიმმა მინდვრისაკენ მიმახედა, სა-
დაც მხვნელები ფუსფუსებდნენ. — რას არ გააქეთებს
თურმე თავისუფალი ადამიანი. წინათ ხარი გვენატრებო-
და მიწის მოსახნავად, ახლა გუთანიც ჩვენია. ის კი არა,



თავმჯდომარე გვეუბნებოდა, რაღაც ემტეესები უნდა აქმარით მოვაყალიბოთ, ჩქარა ტრაქტორებსაც მივიღებთო. თურქე არც ხარი სჭირდება და არც კამეჩი. მიუჯდება კაცი საჭეს და როგორც უნდა, ისე ამუშავებს. მაშინ ნახე, რა ხეავი და ბარაქა დატრიალდება. ასეთ ყოფაში რა დამაბერებს, ყოველდღე ვახალგაზრდავდები, ძალა მემატება. როცა ხედავ, რომ შენი ნამუშევარი შენს ხალხს ხმარდება, შრომაც გიხარია. ოჰ, იმას ვენაცვალე, ვინც ამ ბედნიერ დღეს მომასწრო!

მეც მინდოდა მჭევრმეტყველება გამომეჩინა, მინდოდა მეამბნა სელიმისათვის ჩემი თავგადასავალი, მაგრამ შევატყვე, რომ არ ეცალა ჩემთან სალაპარაკოდ და მეც აღარ შევაჩერე. გამომემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით ყანისაკენ გასწია.

თვალი გავაყოლე. მუდამ გულჩათხრობილი, მძიმე შრომისაგან გატანვული სელიმი ახალ ცხოვრებას გარეგნულადაც შეეცვალა, თითქოს გაეახალგაზრდავებინა. სადღა იყო მძიმე ტვირთისაგან წელში მოდრეკილი კაცი.



სამამულო ომის მეოთხე წელი იდგა. ფრონტიდან სასიხარულო ამბები მოდიოდა. მტერი იხევდა თავისი ბუნა-გისაკენ...

ერთხელ სოფელში წასვლა გადავწყვიტე. მანქანა გაბვიჟუჭდა და იძულებული გავხდი, გზა ფეხით განმეგრძო. ნაწვიმარი იყო, ციოდა. ღრუბლები ისევ საავდროდ ემზადებოდნენ. მარტის ამინდი თავისებურად ჭირვეულობდა.



ატალახებულ გზაზე სიარული ჭირდა. ძლივს მივაბიჯება — კონცერტის მიზანის შევნიშნე და იქითკენ გავემართე. ფარდულის წინ მოხუცი იჯდა, უსაზღვროდ დამწუხერებული. შემნიშნა და მძიმედ წამოიწია. ეტყობოდა, ადგომა უჭირდა. მინდოდა მიესალ-მებოდი, მაგრამ ვერ გიცანი და გზა გავაგრძელე.

— მეობარო, — მომაძახა ხრინწიანი ხმით მოხუც-მა, — იქნებ მომებმარო და გუდა ამაწევინო?

ხმა მეცნო. მივიხედვე, ღმერთო ჩემო! ეს ხომ სელიმია! მოტეხილი, დაბერებული.

— ოჲ, შენა ხარ? კინალამ ვერ გიცანი. — და ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდინდა დანაოჭებულ სახეზე, წვერებზე. შემაშფოთა მისმა ცრემლებმა.

— სელიმ! რა მოგივიდა, რა გატირებს? — ვკითხე და მხარზე ხელი მოვხვიე.

— უბედურება, დიდი უბედურება დამატყდა თავს, — მითხრა ტირილით სელიმმა. — სიბერე გამიმწარდა. ერთადერთი ვაჟი დავკარგე. ჩემი დასატირებელი გახდა. ახლა მხოლოდ ის მანუგეშებს, რომ გმირულად დაიღუპა. სამშობლოს შესწირა თავი. მისი მეგობრები მწერენ. წერილი თურმე დიდი ხანია მოსულა, მაგრამ მიმალავდნენ.

სელიმის დამშვიდება ვცადე, მაგრამ სიტყვა რას უშეველიდა. ძალიან შემაწუხა მისმა უბედურებამ. მან ყაბა-რახით ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო:

— ვცდილობ, გული არ გავიტეხო, მაგრამ დავძაბუნდი, არაფერი გამომდის. აღარც მუშაობა შემიძლია. ჩემი ჩაღიც დღედაღამ შრომობს, მაგრამ ქალის გაკეთებულ საქმეს რა ბარაქა ექნება? კოლმეურნეობა გვეხმარება. აი,



ახლაც ერთი გუდა სიმინდი მომცეს. ვიფიქრე, ურემს არ
მოვაკედენ, მე თვითონ წამოვიყიდებ-მეტქი, მაგრამ მუშავით
აღარ მეყო. აღარც მეგონა, თუ კიდევ ზურგით სატარებე-
ლი გამიხდებოდა ტვირთი. მაგრამ წყეულ მტერს შეშურ-
და ჩვენი ბედნიერება და ამ დღეში ჩაგვაგდო.

გუდის აწევაში მიერშეელე და გზა განვაგრძეთ. რკინი-
გზა გადავჭერით. სადგურამდე ცოტალა რჩებოდა. მატა-
რებელმა ჩაგვიქროლა და შეჩერდა. ერთ-ერთ ვაგონთან
ხალხი შეჯგუფდა. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ვიღაცას
დაბრუნებას ულოცავდნენ, კოცნიდნენ, ეხვეოდნენ.

შეჯგუფულთ ჩვენც მივუახლოვდით, მაგრამ ვერაფერი
დავინახეთ.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, სელიმ, არ ჩაგიმწარ-
და სიბერე, — მიმართა ვიღაცამ სელიმს.

უცებ სელიმის დანახვაზე ხალხი ორად გაიყო და ყა-
ვარჯნებზე დაყრდნობილი დაჭრილი გამოჩნდა. სელიმმა
დაჭრილს თვალი მოჰკრა და ცივმა ოფლმა დაასხა, მუხლე-
ბი მოეკეთა, ხელები აუცახცახდა და გუდა ძირს დაუვარ-
და. ვიღაცამ ხელი შეაშველა. მაღე ღონე მოიკრიბა, თვა-
ლებზე გადატარებული ბინდი გაეფანტა... მკვდრეთით აღ-
მდგარ შვილს გადაეხვია.

მოხუცის თვალებიდან სიხარულის, ბედნიერების
ცრემლმა იწვიმა.

ქველო ძურძო, ნუ გამეღიღურდი!

ჩ ვენს სოფელს ძველად მთის მდინარე ჩამოუღიოდა. დიდი ხნის წინათ შან კალაპოტი შეიცვალა და მქუხარე ნაკადის ადგილას ახლა ხევიღა დარჩა. მისი ოღრო-ჩოღრო ნაპირებიდან ძლივს მოჩანს ბორცვის იქით მიმალული ძველი წისქვილის სახურავი.

გვერდი შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს წისქვილში გლეხებს მოეყარათ თავი. ზოგი თავის ჯერს ელოდა, ზოგაც ფქვილით სავსე გუდები იქვე მიეყუდებინა. ისინი შუალეცხლს შემოსხდომოდნენ და გამოდარების მოლოდინში დინჯად აბოლებდნენ მაგრად დატენილ ჩიბუხს.

იქვე, საწოლთან, ჩვეულებისამებრ, ეკიდა მეწისქვილე შიაქირის ძველი, დაგლეჯილი ქურქი, ალაგ-ალაგ ბამბის ბლუჯები რომ მოუჩანდა.

უსიამოვნოდ ხრჩოლავდა კვამლი. წისქვილის დოლაბები შეუსვენებლივ ბრუნავდნენ. გუდები ფქვილით იცსე-



ბოდა, მაგრამ მომაბეზრებელი წვიმა გადაღებას არ მოგენერირდა რებდა და გლეხებიც შინ კერ მიდიოდნენ, ისხდნენ და დროის მოსაკლავად მხიარულ ამბებს ჰყვებოდნენ, ზოგს მართალს და ზოგსაც მოგონილს.

— ვინც ტყიდან შეშას მოიტანს, ურიგოდ დაუუფქვავ, — მიმართა მეწისქვილე შიაქირმა გლეხებს.

— რას ამბობ, ასეთ ამინდში ძალლსაც არ გააგდებენ გარეთ! — თქვა ერთ-ერთმა გლეხმა.

— მე მოვიტან! — უთხრა მეწისქვილეს თექვსმეტიოდე წლის გამხდარმა ბიჭმა, აქამდე რომ ჩუმად იჯდა, — ოღონდ, შენი ქურქი მათხოვე.

— რას ამბობ, ხომ არ შეიშალე? ეს ქურქი თავს მირჩვინა. დღისით მაცევია და ღამით საბნად მახურავს. რომ დამისველო, ღამე რაღა დავიხურო?

ყველამ გამჭვარტლულ კედელზე ჩამოკიდებულ ძველ ქურქს შეხედა.

— დიდი საქმე, თუ დასველდა, აღარ გაშრება? — გამოექომაგა ბიჭს მწითური გლეხი. — მე შენ გეტქვი, გახუნდება, ან გაფუჭდება, კიმპალ კიაპაჩის ქურქისა არ იყოს. ქურქზე ზრუნვას ის გირჩევნია, ცეცხლი დაგვინთო და გაგვათბო.

— თუ კაცი ხარ, გვიამბე, რა მოუვიდა კიაპაჩის ქურქს? — სთხოვა ერთმა გლეხმა მწითურს.

მწითურს გაუხარდა, რომ სალაპარაკო გამოუჩნდა.

— როგორ? კიმპალ კიაპაჩისა და მისი ქურქის ამბავი არ იცით? — იყითხა მან და დაიწყო:

„ძველად ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი, სახელად



კიმპალ კიაპაჩი. საწყალს ძველი და დაფლეთილი ქურქის ცხოველი შეტი არაფერი გააჩნდა თურმე. მაგრამ რა ქურქი იყო ეს ძველი ქურქი, აღარ იკითხავთ? ქურქი ქურქს გააჩნია...”

— აქაო და ცუდი ამინდიაო, სახლში ვერ წავლენო, მოხსნა გუდას პირი, — თქვა ნაჭრილობევმა გლეხმა.

ყველას გაეცინა.

— დააცადე, მოყვეს. საქმე მაინც არაფერი გვაქვს! — გააჩნიმეს აქეთ-იქიდან.

მწითურს ესიამოვნა და უფრო მეტი ხალისით განაგრძო:

„ერთხელ მთელი ზამთარი ავად ვიყავი. მამაჩემმა ეკლესიაში წამიყვანა და წმინდა გიორგის აღუთქა: შვილს თუ გადამირჩენ, ცხეარს დაგიკლავო. იქიდან რომ ვბრუნდებოლით, გზად კიმპალ კიაპაჩის ოჯახში გამოვიარეთ. კიაპაჩი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო და შინ მისი მემკვიდრე, ლიპიანი კიბი, დაგვიხვდა. სახლში რომ შევეღით, თვალი მოვყარი კედელზე ჩამოკიდებულ დაგლეჯილ ქურქს. უკან დაბრუნებისას მამას ვკითხე, ის რა ქურქი იყო-მეტქი. და აი, რა მიამბო...“

მწითურმა ცოტა ხანს გააჩერა ენა, წისქვილის დოლაბებს რომ ეჯიბრებოდა ამბების დაფქვაში. წვიმა სულ უფრო ძლიერდებოდა. მთლად გაწუწულმა შიაქირმა ერთი იღლია შეშა შემოიტანა, კართან დაყარა და ცეცხლის გაღვივებას შეუდგა.

— სიმინდი დროზე დაყარეთ. დოლაბები არ გამიფუჭოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი! — უთხრა მან გლეხებს.



სეელი ყაბალახი მოიხსნა, გაწურა, ისევ შემოიხვერთ კოდენის კოლავ შეშის მოსატანად გავიდა.

სეელი შეშა ჯერ უსიამოვნოდ აშიშინდა, შემდეგ კი მხიარულად აგუზგუზდა. მწითურმა გლეხმა ჯოხით ნაცარი გაქექა და დინჯად განაგრძო:

„კიმპალ კიაპაჩი უღარიბესი გლეხი ყოფილა. არც სახლი ჰქონია, არც ცოლ-შვილი ჰყოლია. შრომა არ ჰყვარებია და ლუკმაპურისათვის კარდაკარ დაეხეტებოდა. საიდანაც კერძის სუნი მოუვიდოდა, იქით შეუხევდა. როცა ვერავის მიუსწრებდა სადილად, მაშინ თავის ერთადერთ პირმოტეხილ ქოთანში ლობიოს მოხარშავდა და შეეძლეოდა.

თანასოფლელებს მობეზრდათ მისი რჩენა, მაგრამ რა უნდა ექნათ? კარს ხომ ვერ მიუხურავდნენ?

ერთხელ კიაპაჩმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა. გადაწყვიტა და შეირთო კიდეც. მაგრამ მალე გული აუცრუვდა. კიაპაჩის არ მოეწონა უხასიათო და უენო ცოლი და ისევ კარდაკარ ხეტიალი დაიწყო. ცოლმაც ვერ აიტანა ქმრის მაწანწალობა და მალე მშობლების ოჯახს დაუბრუნდა.

კიაპაჩის ზამთარ-ზაფხულ თავისი დაგლეჯილი ქურქი ეცვა, დახეული ფეხსაცმელებიდან შიშველი თითები მოუჩანდა. ერთი სიტყვით, იმაზე ღარიბი კაცი ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ მოხდა სასწაული და კიმპალ კიაპაჩი გამდიდრდა. რა, არა გჯერათ? მეც არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, მამაჩემს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. ის კი ვიცი, რომ იყო ღარიბი და უეცრად გამდიდრდა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. იქნებ კიმპალმა ოქროთი დატენილი საფულე იპოვა, ან მდიდარმა ბიძამ დაუტოვა



მეტყვიდრეობა, ან იქნებ რაიმე ცოდვა ჩაიდინა და ფულტონის
იშვიათი ციფრის!

ასე იყო თუ ისე, სიმდიდრემ გაამედიდურა, გააყოყ-
ლოჩინა კიმპალი. გაიბერა და გაიბლინდა, გეგონებოდათ,
საცაა გასკდებაო. თავს აღარავის უყადრებდა. დაავიწყდა,
როგორ დაეხეტებოდა ლუქმაპურისათვის. მეზობლებს ზე-
დაც აღარ უყურებდა, ღარიბებს არ კადრულობდა, მოიძუ-
ლა ძველი ქურქი, ასე ერთგულად რომ ემსახურებოდა ზამ-
თარ-ზაფხულ.

ერთხელ გლეხები სოფლის თავშესაყარზე შეგროვდნენ
და დინჯად იხილავდნენ სოფლის საჭირობოობრივო
კიმპალ კიაპაშიც იქ იყო. ღარიბი მეზობლები, თუმცა ადრე
ლუქმას უნაწილებდნენ, ახლა გაურბოდნენ, რადგან ყვე-
ლას დასცინოდა და მასხარად იგდებდა. კიაპაჩისა ეშინო-
დათ კიდეც, აბა რა ექნათ, მის ხელთ იყო ფული და ძალა.
პოდა, იმას გიამბობდით, მოვიდა კიაპაჩის კარის მეზობე-
ლი ძაძალაც. მუყაითი, მშრომელი, პატიოსანი ძაძალა მე-
ზობლებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ. იგი თავაზიანად
მიესალმა თანასოფლელებს. ყველამ თავი დაუკრა, მხო-
ლოდ კიაპაჩიმა არ ჩათვალა საჭიროდ სალამზე ეპასუხა.
მედიდურად გადახედა მეზობელს და დაცინვით უთხრა:

— რაო, ძაძალა, შენც მოგიწყიოს?

ძაძალა სიბრაზისაგან აენთო, მაგრამ თავი შეიკავა და
მშვიდად უპასუხა:

— ეტყობა, არ იცოდნენ, რომ შენი თანხმობა იყო სა-
ჭირო.

— ვითომ უშენოდ გაგვიჭირდებოდა საქმის გადაწყვე-
ტა? — განაგრძობდა კიაპაჩი დაცინვას.



კ კი მეტისმეტი იყო. ძაძალამ თავი ვეღარ შეიკავადა და გველაფერი, რასაც ფიქრობდა, პირში მიახალა.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და მეზობლები ლაზათიანად წაიჩინებნენ.

— როგორ მიბედავ? — ყვიროდა კიაპაჩი. — შენც კაცი ხარ, რა, ქურქი მაინც გეცვას წესიერი. გადაგვხრეწია ზურგზე.

მთიელისათვის ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა იქნებოდა. ძაძალამ ვეღარ მოითმინა და გაცეცხლებულმა წამოსძახა:

— შე უსინდისო! როგორ შეგიძლია ასე ელაპარაკო კარის მეზობელს, აღარ გახსოვს, რამდენჯერ ამოგივისია კუჭი ჩემს ოჯახში? ჩემი გამონაცვალი შარვალი რომ გეცვა, არც ის გახსოვს? შეიძლება ყველაფერი დაივიწყო, მაგრამ შენი წარსული, ძელი ქურქი? დაგავიწყოდა, როგორ დაეხეტებოდი კარდაკარ?

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. როგორც კი ძაძალამ კიაპაჩის ძველი ქურქი ახსენა, ეს მედიდური, გაამაყებული ადამიანი მოლბა, მოტყდა, მის თვალწინ გაიღლვა წარსულმა. თითქოს გუშინ იყო, ძაძალას ნახმარ შარვალს რომ სთხოვდა. თითქოს ახლაც ძველი, დაგლევილი ქურქი ეცვა. ძაძალას სიტყვები უროსავით სცემდა ყურებში. კიაპაჩის მუცელში ენა ჩაუვარდა.

მართლაც, რა უსინდისო ვყოფილვარ, — განა ამის დავიწყება შეიძლებოდა? — კიაპაჩის არ ასვენებდა ძაძალას სიტყვები და გულში თავის თავს ლანძღავდა.

უხერხულობის გასაფანტავად გლეხებმა სხვა თემაზე დაიწყეს საუბარი“.



მწითური კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ აშენებული
დროს მეწისქვილემ ისევ შემოიტანა შეშა და ცეცხლს შე-
უკეთა. თან ვიღაცას ლანძღვდა.

— ხედავთ, როგორ გამლანდა იმ მახინჯმა ჩიპაშ? აღარ ახსოვს, მოჯამაგირედ რომ იდგა...

— რაო, რა მინდაო? — იკითხა მწითურმა.

— რა ვიცი, რა უნდა. ორი კაპიკი იშოვა და თავს აღა-
რავის უყადრებს. ჩემს კუთვნილ მიწაზე ფიჩხს რატომ აგ-
როვებო. სიძუნწეა, აბა რა არის! ცოფიანი ძალლივით მეცა.

— ახლა სწორედ მაგნაირ ადამიანზე ვლაპარაკობ-
დით, — თქვა მწითურმა.

— ჰო, ეგეთები მალე ივიწყებენ წარსულს. ბევრი მათ-
განი წაბლს წააგავს, რომელსაც არ სკერა, რომ ეკლიანი
ბუგძიდან გამოძვრა.

— ბარემ დაამთავრე კიაპაჩის ქურქის ამბავი, — თქვა
ერთმა გლეხმა, რომელსაც ცნობისმოყვარეობა არ ასვენე-
ბდა.

„აბა, რაღა დარჩა მოსაყოლი. კიაპაჩი ჩააფიქრა ძა-
ძალას სიტყვებმა. ზოგს ეგონა, რომ არ შეარჩენდა საქვეყ-
ნოდ გალანძვას და სამაგიროს გადაუხდიდა. სინამდვი-
ლეში კი აი, რა მოხდა: როგორც კი კიაპაჩი შინ დაბრუნდა,
შევიდა საკუჭნაოში, გააღო სკივრი და ამოათრია თავისი
ძველი ქურქი, შეათვალ-შემოათვალიერა და კედელზე ჩა-
მოკიდა. შემდეგ გარეთ გამოვიდა და ძაძალას სახლისაკენ
გასწია. ძაძალა და მისი ცოლი ვააოცა კიაპაჩის მისვლამ,
იგი გამდიდრების შემდეგ ხომ აღარავისთან დადიოდა.

„ნეტავი რა ეშმაქმა მოიყვანა, რა ნებავს?“ — გაიფი-
ქრა ძაძალამ, მაგრამ როგორც გულლია მასპინძელს შე-



ეფერებოდა, სტუმრის შესაგებებლად გაემართა. თიშენიშვილი
არაფერი მომხდარაო, კიაპაჩი მიესალმა მეზობელს და
ცეცხლს მიუჯდა. ძაძალას ცოლმა შეამჩნია, რომ კაცები
რაღაც უცნაურად უყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ როცა
წვეულებრივი საუბარი გააბეს, მომეჩვენაო, — გაიფიქრა
და ოჯახის საქმეს შეუდგა. ღომი ჩაზილა, თეფშებზე ჩამო-
არიგა და სუფრა გააწყო. გახშამს ისე შეიქცეოდნენ, თით-
ქოს არაფერი მომხდარიყოს.

ბოლოს კიაპაჩი გამოემშვიდობა მასპინძელს. ძაძალა
ეზოში გაპყვა სტუმარს. ცოლს ვერაფერი გაეგო. ასე რამ
გამოცვალა კიაპაჩიო, — უკვირდა. არც ძაძალა იყო ნაკ-
ლებ გაოცებული.

როცა ჭიშკარს მიუახლოვდნენ, კიაპაჩი მიუბრუნდა ძა-
ძალას, ხელი მეგობრულად გაუწოდა და უთხრა:

— გმადლობ, ძაძალა, ნუღარ გამაცილებ, მადლობე-
ლი ვარ ყველაფრისათვის. იცოდე, დღეიდან კიაპაჩი სხვა
კაცად იქცა. კარგი საქმე მიყავი, მეზობელო. მე ისევ ის
ძეელი კიაპაჩი გავხდები, ზამთარ-ზაფხულ დაგლეჯილი
ქურქით რომ დადიოდა.

მათ მეგობრულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და
დაშორდნენ.

სახლში მისვლისთანავე კიაპაჩმა აიღო დიდი ჯოხი და
ქურქს დასცხო, თან ამბობდა: ძველო ქურქო, ნუ გამედი-
დურდიო. შემდეგ ჯოხი კუთხეში მიაყუდა და ბრძანა, ხე-
ლი არავის ეხლო, არც ქურქისათვის და არც ჯოხისათვის.

ამ დღიდან კიაპაჩის ძველი ქურქი ხელუხლებლად ეკი-
და საკუჭნაოში. როგორც კი შეამჩნევდა თავს, რომ სიამა-



ყც შეეპარა, იღებდა ჯოხს, ურტყამდა ქურქს და ფანაშეული
ბობდა: „ძველო ქურქო, ნუ გამედიდურდი!“

მისი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს ეკიდა ქურქი სა-
კუჭნაოში, აკი გითხარით, ბავშვობაში მეც მინახავს-
მეთქი.“

ამით დაამთავრა მწითურმა თხრობა.

ცეცხლი ისევ მხიარულად გიზგიზებდა. დოლაბები
ბრუნავდნენ და ბრუნავდნენ. გუდები ფქვილით ივსებოდა.
წვიმაც შეწყდა. გამოიდარა.

୩ ୯ ୬ ୦ ୩ ୦

ପରେବାଲୀ	5
ମନ୍ତ୍ରପାଳ କ୍ରମିକା	18
ପ୍ରେଷଣ କୁର୍ରି, ଓ ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କରଙ୍କି!	26

Дарсалиа Дзадз Харитонович

З а л о ж и к

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1968

*

ჩედაქეტორი მ. მთვრილაშვილი

მხატვრები: თ. ჭიშკარიანი, ლ. დუწეული

მხატვ. ჩედაქეტორი შ. დოლიძე

ტექნიკაქეტორი ლ. ქვარცის გამა

კორექტორი ი. უშვილიძე

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-68

ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/32$

ნაბეჭდი თაბახი 1,125

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,42

უ. 00278 ტირაჟი 5.000 შეკვ. № 957

ფასი 10 კაპ.

*

გამომცემლობა „ნაკადული”, შარგანიშვილის, 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭ-
ღვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მი-
ზარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2,
„ნაკადული”, თბილისი, ფურცელის, 5

Типография № 2 «Накадули», Государ-
ственного Комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати Главполиграф-
прома, ул. Пурцеладзе № 5



ԱՐԵՎԵԼԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ
ԳՐԱԾԱՌԱՅՈՒԹՅԱՆ

